

## სამნი ამხანაგნი

იყვნენ სამნი ამხანაგნი. ერთი დია კარგი და ბატონის ერთგული და ყოვლის კაცის შეუცოდარი, მართალი და მართლის მთქმელი იყო და ორნი მტყუარნი და ორგულნი.

იგი ორნი ამხანაგნი ორგულებაზე აწვევდენ მას ერთსა, და იგი ერთი ეტყოდა: ნუ, ძმანო, არა სჯობს. პატრონისა ორგული ღმერთსაც სძულს და კაცსაცა, და ნუ ბოროტებთო!

იგინი გაუმტერდენ და პატრონთან შესმენას ეცადენ. არ შეიბეზლა და ღამე ბაგირი წაუჭირეს და დაამთვეს.

- თქვენც აგრე მიპირობთ, განა ვერა ვხედავ<sup>ე</sup> ამხანაგს რომ მიქებ, ამხანაგი ესეთი მინდა, ჩემის ნებისა და ჩემთვის კარგის მოქმედი, კეთილისმყოფელი, უზიანო, მეფესთან კადნიერად სიკეთის მოქნე, არა მათხარი, ქიშპი, მტერი და წახდენის მცდელი. ღმერთმან ეგეთი ამხანაგი თქვენ მოგცეს, თქვენ მე ამხანაგები მყავხართ, ან როგორსაც ამხანაგობას მიპირობთ!

თქვა ვაზირმან არაკი: